

Ceresit CN 68

თხელფენოვანი თვითსწორებადი ნარევი (ფენის სისქე 1მმ.დან - 30მმ.დე.)

CN 68

თვისებები

- ადვილად სწორდება
- ტექნოლოგიური გასვლა შესაძლებელია 8 საათის შემდეგ
- გამოსაყენებელია დაბალი სიმტკიცის საფუძვლებისათვის
- შეიძლება გამოყენებულ იქნას გამათბობლიან მოჭიმვებზე
- გამოსადეგია მექანიზებულად დასაფენად
- ეკოლოგიურად უსაფრთხოა



გამოყენების არეალი

თვითსწორებადი ნარევი Ceresit CN 68 განკუთვნილია ბეტონის, ქვიშა-ცემენტის, ანჰიდრიტული და თაბაშირის ჰორიზონტალურ საფუძვლებზე კერამიკული ფილების, ლინოლეუმის, კოვროლინის, ლამინატის და იატაკის სხვა საფენების დასაგებად, პარკეტის გარდა მშრალ ნაგებობებში დაბალი მექანიკური დატვირთვებით (საცხოვრებელი, საყოფაცხოვრებო, ადმინისტრაციული, საზოგადოებრივი და ა. შ.). შეიძლება გამოყენებულ იქნას დაბალი სიმტკიცის მქონე საფუძვლებზე. გააჩნია არმირებული მინა ბოჭკოები - "Fiber Force". ნარევი გამოსადეგია მხოლოდ შიდა სამუშაოებისათვის. განკუთვნილია როგორც ხელით, ისე მექანიკურად დაფენისათვის. ნარევი შეიძლება დაიფინოს 1-დან 30 მმ-მდე სისქის ფენით.

ზედაპირის მომზადება

საფუძვლის მომზადება და მომდევნო სამუშაოები უნდა შესრულდეს მშენებლობაში მოქმედი ტექნიკური ნორმატიული სამართლებრივი აქტების შესაბამისად. საფუძვლის სიმტკიცე შეკუმშვის მიმართ უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 10 მპა-ს. ქვიშა-ცემენტის მოჭიმვებს (ასაკი ≥ 28 დღე) და ბეტონს (ასაკი ≥ 3 თვე) უნდა გააჩნდეთ სინოტივე $\leq 1,5\%$, ანჰიდრიტულ მოჭიმვებს $\leq 0,5\%$. საფუძველი უნდა გაიწმინდოს ჭუჭყისაგან (ცხიმებისგან, ზეთებისგან, ბიტუმისაგან, წებოსაგან, ლაქ-საღებავიანი დაფარვისგან და ა.შ.). საფუძვლის არამტკიცე უბნები, დასუსტებული ზედაპირული ფენა, ცემენტის ბრე უნდა იქნას მოშორებული. ანჰიდრიტული მოჭიმვები უნდა გაითრავოს შემესვების მარცვლების გამოჩენამდე. ბზარები უნდა გაფართოვდეს, მოშორდეს მტკერი და დამუშავდეს გრუნტით Ceresit CT 17. საფუძველზე ბზარებისა და ღრმულების რემონტისათვის რეკომენდებულია ნარევის Ceresit RS 88 ან Ceresit CN 83-ის გამოყენება. ბეტონი, ქვიშა-ცემენტის, ანჰიდრიტული და თაბაშირის მოჭიმვები უნდა დამუშავდეს გრუნტით Ceresit CT 17. გრუნტი ამაღლებს ნარევის გამლას, თავიდან აცილებს მის ზედმეტად გამოშრობას და ზედაპირზე ჰაერის ბუმბუტეების გაჩენას. გრუნტის გაშრობის შემდეგ, რეკომენდებულია შემოწმდეს საფუძვლის შეწოვადობის უნარი და საჭიროების შემთხვევაში, უნდა დაიგრუნტოს კიდევ ერთხელ.



CERESIT_CN 68_01_2020

სამუშაოთა შესრულება

ნარევის მოსამზადებლად იღებენ სუფთა წყლის გაზომილ რაოდენობას ტემპერატურით $+15^{\circ}\text{C}$ -დან $+25^{\circ}\text{C}$ -მდე. მშრალ ნარევის თანდათანობით უმატებენ, წყალში მორევასთან ერთად, ერთგვაროვანი მასის მიღებამდე, ბურთულების გარეშე. გადარევას ახდენენ მიქსერით ან თავაკიანი ბურღით ბრუნვის სიჩქარით 400-600 ბრ/წთ. ნარევი გახარჯული უნდა იყოს 30 წუთის განმავლობაში დამზადების მომენტიდან. ნარევის ასხამენ საფუძველზე, პბილებიანი რაკლით ანაწილებენ ზედაპირზე ხეი აბრტყელებენ ნემსებიანი ვალიკით. 30 წუთზე მეტი ხნით მუშაობაში შესვენებების დროს მოწყობილობა უნდა გაირეცხოს წყლით, რადგანაც გამაგრებული მასალა შეიძლება მოცილდეს მხოლოდ მექანიკური საშუალებით.

რეკომენდაციები

სამუშაოები უნდა შესრულდეს მშრალ პირობებში საფუძვლის ტემპერატურაზე $+5^{\circ}\text{C}$ -დან $+30^{\circ}\text{C}$ -მდე, ჰაერის გარდობით ტემპერატურაზე არა უმეტეს 80%-სა. გამაგრების წყლის სიჭარბე იწვევს ფენების გაჩენას, სიმტკიცის დაქვეითებასა და მასალის დაზარავას! ნარევის მექანიზებული დაფენა რეკომენდებულია შესრულდეს „გასწორებადი ბათქაშისა და დასასხმელი იატაკების მექანიკურად მოწყობის სახელმძღვანელოს“ შესაბამისად.

გასწორებადი ფენა უნდა იქნას დაცული ნადრევი გამოშრობისაგან ორპირი ქარების, გამათბობელი ხელსაწყოებისა და მზის პირდაპირი სხივების ზემოქმედებით. საფუძველში არსებული დეფორმაციული ნაკერები უნდა გაიმიეოროთ გასწორებად ფენაში. გამათბობლიან მოჭიმვებზე გათბობა უნდა იქნას გამორთული ნარევის დაფენამდე 48 საათით ადრე. ნარევის დაფენის შემდეგ გამათბობლის ჩართვა მუშა სიმძლავრით შეიძლება 72 საათის შემდეგ 10 მმ-მდე სისქის ფენისას და 5 დღე-ღამის შემდეგ 10 მმ-ზე მეტი სისქის ფენისას.

შენახვის ვადები

შენახვის ვადა მშრალ, გრილ ადგილას ორიგინალურ დაუზიანებელ შეფუთვაში შეადგენს 12 თვეს დამზადების დღიდან.

შეფუთვა

მშრალი ნარევი CN 68 - მიეწოდება მრავალშრიან 25 კგ-იან ტომრებში

შენიშვნები

ყველა ზემოთ მოცემული რეკომენდაცია ეფექტურია ტემპერატურაზე $+20 \pm 2^{\circ}\text{C}$ % და ჰაერის ფარდობითი ტენიანობისას $55 \pm 5\%$. სხვა პირობებში ხსნარის ნარევის ტექნოლოგიური პარამეტრები შეიძლება შეიცვალოს. მასალის კონკრეტულ გამოყენებაში ეჭვის შეტანისას უნდა გამოსცადოთ ის დამოუკიდებლად ან გაიაროთ კონსულტაცია მწარმოებელთან.

ტექნიკური მახასიათებლები

შემადგენლობა Ceresit CN 68:	კომპლექსური მწებავის, მინერალური შემავსებლებისა და პოლიმერული მოდიფიკატორების ნარევი
შემრევი წყლის რაოდენობა:	4,75 - 5,25 ლ მშრალი ნარევის 25 კგ-ზე
მოხმარების დრო:	არანაკლებ 30 წთ
გამოყენების ტემპერატურა:	+5-დან +30°C
ტექნოლოგიური გასვლის შესაძლებლობა:	8 საათის შემდეგ
სიმტკიცე შეკუმშვის მიმართ: 1 დღე ღამის ასაკში 28 დღე ღამის ასაკში	არანაკლებ 3,0 მპა არანაკლებ 18,0 მპა
სიმტკიცე გაჭიმვის მიმართ მოხრის ადგილას: 28 დღე ღამის ასაკში	არანაკლებ 4,5 მპა
ადჰეზია ბეტონის მიმართ 28 დღე ღამის ასაკში:	არანაკლებ 0,8 მპა
ექსპლუატაციის ტემპერატურა:	+70°C-მდე
წვის ჯგუფი:	არ იწვის
საფარების მოწყობა: - კერამიკული ფილა: - წებობის გამოყენებით წყლის საფუძველზე: - წებობის გამოყენებით ორგანულ საფუძველზე:	48 საათის შემდეგ 72 სთ-ის შემდეგ 7 დღე-ღამის შემდეგ
მშრალი ნარევის ხარჯი Ceresit CN 68:	დაახლოებით 1,6 კგ/მ ² ფენის 1 მმ სისქეზე

CN 68

პროდუქტი შეიცავს ცემენტს და, წყალთან ურთიერთობისას, იძლევა ტუტე რეაქციას, ამიტომ, მასთან მუშაობის დროს, აუცილებელია თვალის და კანის დაცვა. თუ ნარევი თქვენს თვალში მოხვდება, ჩამოიზანეთ ისინი წყლით და მიმართეთ სამედიცინო დახმარებას. ყველა მითითებული ხარისხის ინდიკატორი და რეკომენდაცია მოქმედებს + 20 ° C – ს ტემპერატურაზე და 60% –ზე შედარებით ტენიანობაზე სხვა პირობებში, მასალის ტექნიკური მახასიათებლები შეიძლება განსხვავდებოდეს მითითებულიდან.

ტექნიკური აღწერილობის გარდა, მასალასთან მუშაობისას, თქვენ უნდა იხელმძღვანელოთ შესაბამისი სამშენებლო კოდებითა და დებულებით. მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი ტექნოლოგიასთან შეუსრულებლობა მასალასთან მუშაობის დროს, აგრეთვე ამ ტექნიკური აღწერილობით გათვალისწინებული მიზნებისათვის და პირობებში. თუ ეჭვი გეპარებათ მასალის კონკრეტული გამოყენების შესაძლებლობის შესახებ, თქვენ უნდა შეამოწმოთ იგი საკუთარ თავს, ან გაიაროთ კონსულტაცია მწარმოებელთან. ტექნიკური აღწერილობა, ისევე როგორც წერილობით დაუდასტურებელი რეკომენდაციები, არ შეიძლება გახდეს მწარმოებლის უპირობო პასუხისმგებლობის საფუძველი. ამ ტექნიკური აღწერილობის გარეგნობით, ყველა წინა მათგანი ძალადაკარგულად იქცევა.



Henkel Building Chemicals Georgia LLC. საქართველო,
1320, გარდაბანი, სოფელი მარტყოფი.

ხარისხი პროფესიონალებისათვის